

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 8 17 00000961
2017 წლის 05 დეკემბერი ქ.თბილისი**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საქართველოს სახელმწიფო
დროშის გამოყენებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ბრძანება N MOD 2 19 00000053 30.01.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენებისა და დაცვის წესი“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ლევან იზორია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საქართველოს სახელმწიფო

დროშის გამოყენებისა და დაცვის წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენებისა და დაცვის წესს.

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფო დროშა (შემდგომში - სახელმწიფო დროშა) მუდმივად აღიმართება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების (შემდგომში - ერთეულები) ადმინისტრაციულ შენობებზე.

2. სახელმწიფო დროშა შეიძლება აღიმართოს:

ა) ერთეულების ტერიტორიაზე (დისლოკაციის ადგილზე);

ბ) სამხედრო სასაფლაოს ტერიტორიაზე;

გ) დაღუპულ გმირთა მემორიალზე, სადაც სრულდება საპატიო განწესი.

მუხლი 3

სახელმწიფო დროშა აღიმართება და გამოიფინება ერთეულებში მიმდინარე ყველა სახელმწიფო ღონისძიებაზე სათათბირო და საკონფერენციო ოთახებში.

მუხლი 4

1. სახელმწიფო დროშას საქართველოს ტერიტორიაზე ყველა დროშასთან მიმართებით ენიჭება უპირატესობა და საპატიო ადგილი.

2. სახელმწიფო დროშა აღიმართება და გამოიფინება მხოლოდ საპატიო ადგილას.

3. სახელმწიფო დროშა აღმართვისას იშლება და ფრიალისას არ ეხება მიწას, წყალს, კედელს ან რაიმე სხვა საგანს.

4. ოფიციალური ღონისძიებისას, სახელმწიფო დროშა შენობაში შეაქვთ აღმართული.

5. სახელმწიფო ღონისძიებისას, სახელმწიფო დროშა აღიმართება და დაეშვება სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით.

მუხლი 5

სახელმწიფო დროშა დაეშვება სამი დღე - ღამით:

ა) გლოვისას;

ბ) სამხედრო წვრთნისას ან საბრძოლო ამოცანის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში;

გ) „საქართველოს თავდაცვის ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების დროს ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში;

ბრძანება N MOD 2 19 00000053 30.01.2019 ძალშია ხელმოწერის დღიდან;

დ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული პირების ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით მიძღვნილი ღონისძიებების დროს.

მუხლი 6

გლოვის დროს სახელმწიფო დროშა:

ა) დაშვებულია ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით და აღმართულია ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე;

ბ) აღიმართება ფლაგშტოკის ბოლომდე და უკვე შემდეგ დაეშვება ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით, ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე;

გ) დაშვებულია ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით და ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე აღმართული სახელმწიფო დროშა აღიმართება და უკვე შემდეგ დაეშვება და ჩამოიხსნება;

დ) სახელმწიფო დროშისა და სხვა სახელმწიფოს დროშის აღმართვისას, სახელმწიფო დროშა აღიმართება შავი ბაფთით, რომლის სიგრძეც სახელმწიფო დროშის სიმაღლის 1/2-ს არ აღემატება.

მუხლი 7

სახელმწიფო დროშის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყონ ერთეულების ხელმძღვანელებმა.